

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი




მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმდინარე წლის ბოლო
პერიოდში განეული მუშაობისა და
საინტერესო მოვლენების შესახებ

vhs
DVV International

N1
2020

ნომერშია:

- უმაგრესი სიახლე
ზრდასრულთა განათლებაში!
- ტრენინგი ZOOM-ში
„ონლაინ სწავლების
მეთოდების“ შესახებ
 - დისტანციური
სწავლება ზრდასრულთა
განათლებაში... ჩვეული ხალისით
- მზადყოფნა რთული და მოულოდნელი
სიტუაციებისთვის
 - მნიშვნელოვანი ნაბიჯები
არაფორმალური განათლების
აღიარებაში
- dvv.gaen.org.ge - ყველაფერი ჩვენი
ცენტრებისა და
კურსების შესახებ



უაზრასი სიასა ზრდასრულთა განათლებათ!

ამერიდან საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრებში მიღებულ განათლებასა და ქსელის მიერ გაცემულ სერტიფიკატს სახელმწიფო აღიარებს! დიას, ფორმალური განათლების ფარგლებში, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა, ნევრ ცენტრთან თანამშრომლობით, „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვის“ კურსზე სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლება მოიპოვა. კურსის განხორციელება ქსელს 3 წლის ვადით შეუძლია.



პროგრამის განხორციელებას GAEN თავის ნევრ, ზრდასრულთა განათლების 9 ცენტრში გეგმავს, სადაც აღნიშნული კურსი ეტაპობრივად გაიხსნება. ცენტრებში წინასწარ გაკეთდება ინფორმაცია და მსურველებს რეგისტრაცია შეეძლება. სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი მათ დასაქმების, რეალიზებისა და სამომავლო განვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემს.

პროფესიული მომზადების აღნიშნული პროგრამის მიზანი ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - სერტიფიკატის გაცემაა. ეს ნიშნავს იმას, რომ მსმენელები პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს მიიღებენ. და ეს არ მოხდება მხოლოდ კერვის კურსზე. მომავალში ასეთივე განაცხადის გაკეთებას საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი სხვა პროფესიულ პროგრამებზეც გეგმავს.

ტრენინგი ZOOM-ში მუშაობისთვის „ონლაინ სწავლების მეთოდების“ შესახებ

ქსელის ნევრი ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება მნიშვნელოვანი კომპონენტია GAEN-ის სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და ნევრი ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის. 2020 წელს დაგეგმილი აქტივობები ჩვენი ცენტრების საჭიროებათა ანალიზს ეყრდნობა.

ქვეყანაში არსებული ვითარების მიუხედავად, 2020 წლის პირველ ნახევარში GAEN-მა 3 ძირითადი თემატიკის ონლაინ ტრენინგების ჩატარებას გაუწია ორგანიზება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა თუ ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების თანახმად, ორგანი-



ზაციები და კომპანიები დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდნენ განუსაზღვრელი ვადით. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა (GAEN), რეკომენდაციების შესაბამისად, ხელი შეუწყო მისი ნევრი ზრდასრულთა და სათემო განათლების ცენტრების ეფექტურ მუშაობას და დაეხმარა მათ, არსებულ გამოწვევაზე სათანადოდ ეპასუხათ.

2020 წლის 22 აპრილი-5 მაისის პერიოდში (22-23 აპრილს, 25-26 აპრილს, 28-29 აპრილს, 1-2 მაისს, 4-5 მაისს) GAEN-მა ქსელის ნევრი ცენტრების ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და ტრენინგებისთვის, ხუთ სატრენინგო ჯგუფთან, ონლაინ ტრენინგი ჩაატარა ZOOM პროგრამაში „ონლაინ სწავლების მეთოდების“ შესახებ; აქტივობის ფარგ-

ლებში 66 ბენეფიციარი გადამზადდა. ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და უნარების დახმარებით მათ თავიანთ ცენტრში სასწავლო პროცესების მართვასა და ბენეფიციარებისთვის ონლაინ რეჟიმში კურსების ჩატარებას კარგად გაართვეს თავი.

დისბანდირი სწავლა ზრდასრულთა განათლებაში... რვალი სახლით

მოკლედ, რადგან ამ ჯერ იმპორტირებულმა და მერე ჩვენშიც მოშინაურებულმა კორონამ (ანუ ქოვიდ 19-მა) ასე ერთბაშად შეგვიცვალა ცხოვრების წესი, სახლში გამოგვკეტა და აქტიური რეჟიმი პასივში გადაგვიერთო, ახალი რეალობისა და გამონვევის წინაშე, სხვებთან ერთად, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრებიც აღმოჩნდნენ. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ასეთი ცენტრი თერთმეტია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, რაჭა და აჭარა, ქედა და სამცხე-ჯავახეთი), რომლებიც ადგილებზე განათლებისა და სიახლეების რეალურად ხელმისაწვდომი კერებია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მათი უმრავლესობა უკვე წლებია სრული დატვირთვითა და ძალზე საინტერესო საქმიანობით მოღვაწეობს, სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობებს სთავაზობს ზრდასრულ ადამიანებს - ახალგაზრდებსაც და „ძველგაზრდებსაც“.

ამიტომ ამ ცენტრების კარის დიდი ხნით გამოკეტვა, მით უფრო ასეთ კრიზისულ ვითარებაში, შეუძლებელი იყო. თანაც ზრდასრულთა განათლების იდეაც ხომ თავისთავად სწორედ რეალობისთვის თვალის გასწორება და გამოსავლის ძიებაა; იმ ტიპის განათლებაა, რომელიც მაშინ გაპოვნინებს გზებს, როცა ცხოვრება არაფერს გთავაზობს და გგონია, ველარაფერს შეცვლი. ჰოდა, არც ჩვენი ცენტრები ჩამორჩნენ დროსა და გარემოებას, სათანადოდ გაიაზრეს არსებული მდგომარეობა, საკუთარი შესაძლებლობები და დისტანცირებულ მუშაობაზე გადავიდნენ. აი, აქ კარგად გამოადგათ წლების მანძილზე განეული შრომა და ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის კომპიუტერული უნარებით აღჭურვის საქმეში და სასწავლო კურსები სრული დატვირთვით განაახლეს. ბენეფიციართა უმრავლესობა ადვილად გაუმკლავდა ტექნიკურ სირთულეებს და პროგრამა ZOOM-ში უპრობლემოდ ჩაერთო. არ შეწყვეტლა თითქმის არცერთი მიმდინარე კურსი, არც წინასწარ დაგეგმილი ახალი კურსების დაწყებას შეშლია ხელი, რომელთა თემატიკა ახლაც ისევე მრავალფეროვანია, როგორც სწავლების სტანდარტულ რეჟიმში და ისევე აქტიური, როგორც ყოველთვის.

აი, მაგალითად: კოდის ზრდასრულთა განათლების ცენტრში (დირექტორი **მადონა ოქროპირიძე**) 19 მარტიდან დისტანცირებული სწავლებით გაგრძელდა სამართლის ტრენინგი „ვიცოდეთ ჩვენი უფლებები“, რომელშიც პროგრამა ZOOM-ით 25 მსმენელია ჩართული, მათ შორის არიან შაუმიანის სათემო განათლების ცენტრის ახალგაზრდებიც; აქტიურად მიმდინარეობს „შესყიდვებისა და ახალი რეგულაციების“ კურსი, ახალგაზრდული პროგრამა, ტიხრული მინანქრის თეორიული კურსი, ინგლისურის შემსწავლელი (2 ჯგუფი), ფსიქოლოგის ტრენინგ-კონსულტაცია (კოდა-შაუმიანის მსმენელებისთვის), მცირე ბიზნესის კურსი (2 ჯგუფი) და შინმოვლის კურსი (ექიმის კონსულტაცია), რომელიც მესენჯერით მიმდინარეობს 20 მსმენელისთვის, ხოლო ხანდაზმულ ბენეფიციარებს მობილურით უწევენ კონსულტაციებს, ასე რომ უყურადღებოდ არავინ რჩება.

22 აპრილიდან ცენტრში ინტერნეტ რესურსების გამოყენების ახალი კურსიც დაიწყო, რომელსაც 15 მსმენელი ჰყავს და ZOOM-ში ტარდება. დისტანციური სწავლება სახლის პირობებში ასე-

ვე აქტიურად მიმდინარეობს სხვა ცენტრებშიც. კერძოდ, ქედაში (აჭარის რეგიონი) 1 აპრილიდან ამოქმედდა მართვის მონმობის თეორიული კურსი, ინგლისურისა და კომპიუტერის საოფისე პროგრამების კურსები, ფსიქოლოგის კურსი; დაწყებული იყო და მარტის შუა რიცხვებიდან ონლაინ რეჟიმზე გადავიდა ხელსაქმისა და სუვენირების დამზადებისა და ქსოვის კურსებიც. მიმდინარეობს ასევე ონლაინ შეხვედრები - ფინანსური განათლების შესახებ, საჯარო და კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები. საერთო ჯამში, ამ ეტაპზე, დისტანციურ სწავლებაში 85 მსმენელი მონაწილეობს და როგორც ცენტრის ხელმძღვანელი **დავით ანანიძე** ამბობს, ასეთ აქტიურობასა და მოთხოვნას ონლაინ კურსებსა და შეხვედრებზე არც კი ელოდნენ. პროცესში ჩართვის პრობლემა არავის ჰქონია, არც უკმაყოფილება გამოუთქვამს ვინმეს, მხოლოდ ეს არის, ინტერნეტი ჭედავს ხანდახან...

მიუხედავად იმისა, რომ კორონა კახეთში შეღწევას ვერ ბედავს, წინდახედული კახელები მაინც იზღვევენ თავს და დისტანციურ სწავლებაზე ლელიანის სათემო განათლების ცენტრიც გადა-

ვიდა. მართალია, ჯერ კახური სიღინჯით გააანალიზეს მოვლენები, მერე 10 აპრილამდე აქტიური დაგეგმვის პროცესი ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ მთელი დატვირთვით შეუდგნენ საქმეს.

ტრენინგების ჩამონათვალშია: გრაფიკული დიზაინი, ინგლისური ენა ზრდასრულე-

ბისთვის (I და II საფეხური), ფოტოგრაფია, ბულალტერია, ონლაინ შეხვედრები ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში და შეხვედრები ფსიქოლოგთან, რომელიც თავიდან მესენჯერით დაიწყეს, შემდეგ კი Zoom-ის პროგრამა ასწავლეს ბენეფიციარებს და ახლა ამ პროგრამაში მუშაობენ.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შეხვედრებს, რომელიც აქამდე სავლელ პირობებში იმართებოდა და კონსულტირებაც და პრაქტიკული სწავლებაც ნაკვეთებში, ადგილებზე ხდებოდა, ახლა კვირაში ერთი LIVE-ით შეიცვალა, რომელშიც ხეხილოვანი კულტურების მოვლის საკითხებზე საუბრობენ. ცენტრის ხელმძღვანელის **ნანა ნერსეზაშვილის** თქმით, აქაური ბენეფიციარებისთვის მესენჯერი უფრო მოსახერხებელი და კომფორტული აღმოჩნდა, თუმცა ცენტრი მათი ტექნიკური უნარების განვითარებაზე ზრუნავს, რათა Zoom-ით სარგებლობა ასწავლონ და უფრო ორგანიზებულად წარმართონ დისტანციური სწავლების პროცესი.

ჯვარის სათემო განათლების ცენტრში (სამეგრელო) დისტანციური სწავლება 1 აპრილიდან დაიწყო. ონლაინ სწავლებისთვის აქაც, ძირითადად, Zoom-ის პლატფორმასა და მესენჯერს იყენებენ, სწავლება კი შემდეგ კურსებსა და პროგრამებზე ხდება: ფინანსური განათლების, ოფისმენეჯერის, კომპიუტერის, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, ახალგაზრდული პროგრამები, საჯარო შეხვედრები და დისკუსიები და ფსიქოლოგის კონსულტაცია, რომელიც თვეში 4-ჯერ იმართება 42 ბენე-



ფი-
ცი -
არისტ-
ვის.

როგორც
ტრენერმა, ფსი-
ქოლოგმა და სო-
ციალური მუშაობის
მაგისტრმა, **ეთუნა ჩუბი-**

ნიქმ გვითხრა, საქართველოში და მსოფლიოში შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, მსმენელებისთვის ის თემები შეარჩია, რაც საინტერესო იქნებოდა და ემოციური ინტელექტის გაზრდასა და გაძლიერებაში დაეხმარებოდა მათ: „ასეთი დისტანციური შეხვედრებით ვცდილობთ, გავიუმჯობესოთ სტრესთან გამკლავების მექანიზმი, ვმართოთ კონფლიქტური სიტუაციები, დავძლიოთ აგრესია, გავანანილოთ დრო პრიორიტეტულ აქტივობებში და დავრჩეთ ფსიქიკურად ჯანმრთელები. მეც და ჩემი ტრენინგის მონაწილეებიც ვრჩებით სახლში და განვაგრძობთ აქტიურობას წარმატებული მომავლისთვის“.

ცენტრის ხელმძღვანელის **მაია ჭანტურიას** თქმით კი, მსმენელებს ონლაინ ჩართვების ტექნიკურად გამართვაში ეხმარებიან, რადგან ამ მხრივ პრობლემები ჯერ კიდევ აქვთ. თუმცა მოხერხებული მეგრელები როგორც ყველაფერს, ამასაც, რა თქმა უნდა, იოლად გაართმევენ თავს და თანაც ისეთი კმაყოფილებით, რომ მაღლიერების გამოხატვაც არ დაავიწყდებათ თავიანთი ცენტრის მიმართ.

დისტანციური სწავლების ამბავმა ბოლოსდაბოლოს რაჭაშიც ააღწია და ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა რაჭველები, რომლებიც ჩვეული სიმშვიდით გადავიდნენ სახლის რეჟიმზე - მართალია, ძირითადად, მესენჯერით, მაგრამ რა პრობლემაა... ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დღეს ინგლისური ენის შემსწავლელი ორი ჯგუფი მუშაობს ZOOM-ის პროგრამაში. მეცადინეობებში ზოგჯერ 15-ზე მეტი მსმენელი ერთვება. დანარჩენ შემთხვევებში კი ადგილობრივი ზრდასრულები მესენჯერში ეცნობიან სანტექნიკის უნარებს, ძველ რაჭულ სამზარეულოს, რაჭული სიმღერების ფოლკლორს, ხის მხატვრულ დამუშავებას, ჭრა-კერვასა და ფარდაგების ქსოვასაც კი, რისთვისაც დაზგები და ძაფები შინ დაურიგდათ და ონლაინ სწავლების დახმარებით ახლა სახლში მუშაობენ.

ცენტრის ხელმძღვანელი **ნინო სოსხაძე** ამბობს, რომ ყველა ამ სასწავლო კურსს მესენჯერ ჯგუფი აქვს და ვინც ლაივის დროს შემოსვლას ვერ ახერხებს, მათთვის ვიდეო გაკვეთილები შესაბამისი კურსის მესენჯერ ჯგუფში იტვირთება.

აი, ასე და ამგვარად, დისტანციურ სწავლებაში ყველა ცენტრია ჩართული და დაახლოებით ასეთივე სურათია ყველგან. მთავარი ის გახლავთ, რომ ზრდასრულთა განათლების მესვეურები, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით, სათანადოდ დახვდნენ დროის გამოწვევას - ამ რთულ რეალობაშიც არ უღალატეს ზრდასრულთა განათლების იდეას და თავიანთ ბენეფიციარებს, რომლებიც დისტანციურ რეჟიმშიც ჩვეული ხალისით აგრძელებენ კეთებით სწავლებას. იმედია, ამასობაში კორონაც შეგვეშვება და ცენტრები ძველებურად ახმაურდებიან. ისინი ხომ არა მარტო განათლების, არამედ მათი თავშეყრისა და ურთიერთობების საუკეთესო ადგილია; ადგილი, სადაც მიუხარიათ, სადაც თავს ღირსეულად და რეალიზებულად გრძნობენ და უკეთესს ჰპირდებით მომავალი...




რიტა ბაინდურაშვილი,
ტაბულა, 30.04.20


გზაფიქრის რთული და მოულოდნელი სიტუაციებისთვის

2020 წლის 13 და 15 მაისს GAEN-ის დაკვეთით ონლაინ ტრენინგი ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟზე და პირველად სამედიცინო დახმარებაზე. ტრენინგები ZOOM-ის აპლიკაციაში შედგა ორ ნაკადად ცენტრის დირექტორებისთვის და ცენტრის თანამშრომლებისთვის. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ტრენინგს **დავით გოგაშვილი** უძღვებოდა, ხოლო პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგს - **მაია გოგაშვილი**. ტრენინგებში 12 ცენტრის დირექტორი და ცენტრიდან თითო თანამშრომელი მონაწილეობდა. ტრენინგებზე ყველა ის საკითხი განიხილეს, რომელიც ცენტრების თანამშრომლებს შრომის უსაფრთხოების დაცვაში დაეხმარება ადგილებზე.

სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ტრენინგის ფარგლებში ტრენინგმა მონაწილეებს საჭიროების შემთხვევაში ცეცხლმაქრის გამოყენების წესები ასწავლა, ხოლო პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგზე მონაწილეებს ვიდეო გაკვეთილები უჩვენეს, სადაც აღწერილია, თუ სხვადასხვა შემთხვევაში როგორ უნდა აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება ადამიანებს.

ტრენინგების დასასრულს მონაწილეებმა






ონლაინ კითხვარები შეავსეს, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა, რომ მონაწილეები ორივე ტრენინგით კმაყოფილები დარჩნენ; სურვილი გამოთქვეს,

რომ, რაც შეიძლება, მეტ თანამშრომელს ჩაუტარდეს ასეთი ტრენინგები.


აღნიშნული ტრენინგი ცენტრის დირექტორებსა და თანამშრომლებს მოულოდნელი და რთული სიტუაციებისთვის თავის სათანადოდ გართმევაში დაეხმარება.




მნიშვნელოვანი ნაბიჯები არაფორმალური განათლების აღიარებაში

საქართველოში ზრდასრულთა განათლება ჯერ კიდევ განვითარებად ეტაპზეა. სახელმწიფო ინსტიტუციები და მოსახლეობა სრულყოფილად ვერ იაზრებს მის მნიშვნელობასა და გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანს არაფორმალური განათლების აღიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 2018 წლის ოქტომბერში მიღებული კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადება/მომზადების პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას ქმნის. ეს კი საშუალებას აძლევს მოსახლეობასა და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, შექმნან ახალი შესაძლებლობები როგორც პიროვნულ დონეზე განვითარების, ასევე თემებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად. GAEN იყენებს ამ რესურსს და მუშაობს მისი წევრი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდაზე, რათა აღნიშნული რესურსის




ათვისება უფრო ფართო მასშტაბით მოხდეს. მიზნების მისაღწევად კი მნიშვნელოვანია სფეროში მომუშავე კადრების გაძლიერება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მუდმივი შესაბამისობის უზრუნველყოფა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მედია საშუალებების გამოყენება ფართო მასების ინფორმირებისთვის.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2018 წლის ოქტომბერში მიღებული კანონი ახალ შესაძლებლობებს ქმნის ზრდასრულთა განათლების პროვაიდერი ორგანიზაციებისთვის. ამ მიზნით 2020 წლის 1-3 ივნისს GAEN-მა წვერი ცენტრების დირექტორებისთვის 16 საათიანი ონლაინ ტრენინგი ჩაატარა ZOOM პროგრამაში მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკით-

ხებზე. ტრენინგზე მიღებული ცოდნა მათ დაეხმარება, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები მოამზადონ, რაც ცენტრებსა და მათ ბენეფიციარებს ცენტრებში მიღებული ცოდნის სახელმწიფო დონეზე აღიარების საშუალებას მისცემს.



dvv.gaen.org.ge - ყველაფერი ჩვენი ცენტრებისა და კურსების შესახებ

DVV International საქართველოს ოფისის დაფინანსებით ვებპორტალი dvv.gaen.org.ge შეიქმნა. მისი მთავარი მიზანია, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, ინფორმაცია კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს იმ საგანმანათლებლო კურსების შესახებ, რომლებიც მათ პიროვნულ, თუ პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. აგრეთვე, პორტალი დაინტერესებულ პირებს იმ მოქმედ არაფორმალურ და ზრდასრულთა განათლების ცენტრებსაც გააცნობს, რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებს ქვეყანაში. მოცემულ ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი იქნება როგორც რეგიონის, ისე საგანმანათლებლო კურსის ტიპის მიხედვითაც, რაც მოსახლეობას დაეხმარება, მათთვის საჭირო კონკრეტული ინფორმაცია ამ საერთო სივრცეში მოიძიოს და კიდევ უფრო გააქტიურდეს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
 საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
 მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N8, II სართული
 ტელეფონი: 2222584
 ელ.ფოსტა: info@gaen.org.ge
 ვებ-გვერდი: www.gaen.org.ge

რედაქტორი
 რიტა ბაინდურაშვილი



ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.